სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაN12/47

ბრალდებულთა და მსჯავდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა 26 02 02
გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი **20 დეკემბერი 2023 წელი**

ერთი მხრივ, **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური**(შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის - **იულია ტყეშელაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **სს „გეფა“** (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი კომერციული დირექტორის - **დავით სულაბერიძის** სახით ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, *„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,* ***SMP230003273*** *თანხმობის* ***(№3643 განკარგულება)*** *და 2023 წლის 14 დეკემბრის №01/438164 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:*

ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვა **(CPV კოდი: 33600000 – ფარმაცევტული პროდუქტები).**

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია ფარმაცევტული პროდუქტები (შემდგომში საქონელი).

2.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი, აღწერილობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართი N1-ში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4458.18 ლარს (ოთხი ათას ორმოცდათვრამეტი ლარი და 18 თეთრი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების 3.1. ქვეპუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი მოსაკრებელი და გადასახადი.

4. საქონლისხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომშემსყიდველს მიაწოდებს ხარისხიან საქონელს, რომელიც არ იქნებავადაგასული და უფლებრივად და ნივთობრივად ნაკლის მქონე.

4.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებულ საქონელზე ვარგისიანობის ვადა მისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან იქნება არანაკლებ 12 (თორმეტი) თვე.

4.3 შესყიდვის ობიექტის ხარისხი, აღწერილობა, რაოდენობა, ერთეულის ფასი მოცემულია დანართი N1-ში, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ **2 (ორი) სამუშაო** დღის ვადაში (**2023 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით).**

5.2 საქონლის მიწოდების ადგილია: **ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N18.**

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7. საქონლის მიღება დადასტურდება სასაქონლო ზედნადებში აღწერილი საქონლის მიღებაზე გაფორმებული ორმხრივად ხელმოწერილი მიღება- ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხიმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის გაფორმების და საქონლის გადაცემის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

6.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს სამედიცინო ლოჯისტიკის მენეჯერი ლევან ზოზირაშვილი ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირი.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

8.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.3 დაფინანსების წყარო: **2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

8.4 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების 6.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

8.5 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 7.4. ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

8.6 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

8.7 მიმწოდებელმა ანგარიშსწორების განხორციელებისათვის 6.1 ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტაცია თუ არ წარუდგინა შემსყიდველს საქონელი მიწოდების დამთავრების დღიდან 3(სამი)თვის განმავლობაში, მიმწოდებელი 3 (სამი) თვის გასვლის შემდეგ კარგავს მიწოდებულ საქონელზე თანხის მოთხოვნის უფლებას.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი, რაოდენობა, ერთეულის ფასი და ა.შ., როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს საქონლის მიღება;

გ)უზრუნველყოს საქონლის შენახვა მწარმოებლის მიერ დადგენილი ნორმების დაცვით.

9.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების დანართი N1-ში გათვალისწინებული საქონელი;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით, დანართი N1-ით გათვალისწინებული ყველა პირობა;

გ)ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.2 უხარისხო ან/და ვადაგასული საქონლის მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებისთანავე გამოასწოროს წუნი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10.3 საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10.4 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და ძალაშია **2024 წლის 29 თებერვლის ჩათვლით.**

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილებების შეტანა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.4 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

12.5 წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო თუ წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ნებისმიერი ინფორმაცია ცვლილების შესახებ და ცვლილება ხელშეკრულებაში შეტანილად ჩაითვლება მეორე მხარის მიერ ცვლილებაზე ხელმოწერის შემდგომ.

12.6 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

13.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

13.3 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 12.1 ქვეპუნქტიდან გამომდინარე სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.4 ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს/ორგანოების მიერ.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ (ან მიწოდების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება და წარმოადგინოს ინსპექტირების აქტი.

14.2 ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, განზომილება და აღმოჩენილი ნაკლი (იმ შემთხვევაში თუ ნაკლი ვიზუალურად თვალსაჩინოა).

14.3 ვიზუალური დათვალიერების დროს, თვალსაჩინო ნაკლის აღმოჩენის ან/და უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოითხოვოს მიმწოდებლის ხარჯებით მისი გამოსწორება.

14.4 ინსპექტირების აქტის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება მოწოდებული საქონლის ექსპერტიზა.

14.5 გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან (ექსპერტიზის დანიშვნასთან) დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

14.6 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებისთანავე გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება;

14.7 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს სამედიცინო ლოჯისტიკის მენეჯერი ლევან ზოზირაშვილი.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ იმ შემთხვევებში, თუ:

ა)მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

ბ)შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ)მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაჯარიმებულ იქნა სამჯერ;

დ) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არშეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;

ე) ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე;

ვ) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17. სხვა პირობები

17.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.4 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

17.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზეელექტრონულად, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის N18, საიდენტიფიკაციო კოდი: 205360223, სახელმწიფო სახაზინო კოდი: TRESGE22, ა/ა GE24NB 0330 1002 0016 5022 ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი	**სს „გეფა“** მის:ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. N142, საიდენტიფიკაციო კოდი: 201991229, საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, IBAN: GE47TB7079136020100017 კომერციული დირექტორი GEPHA JSC Digitally signed by GEPHA JSC Date: 2023.12.20 15:52:15 +04'00'
/იულია ტყეშელაშვილი/	**/დავით სულაბერიძე/**

დანართი N1
2023 წლის 20 დეკემბერის N12/47 ხელშეკრულებასთან

ფ ა ს ე ბ ი ს ც ხ რ ი ლ ი

N	CPV კოდი	დასახელება/შეფუთვის სახეობა	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	33690000	მოტილიუმი ტაბლეტი 10მგ #30	კოლოფი	77	10.08	776.16
2	33690000	ბისოპროლოლი ნორმონი ტაბლეტი 5მგ #30	კოლოფი	45	3.66	164.70
3	33690000	ოქსა B-12 ი/მ ხსნარი საინექციო (75მგ+2მგ+10მგ)/3მლ ამპულა #6	კოლოფი	4	58.92	235.68
4	33690000	დელტაკორტრილი ტაბლეტი 5მგ /TR/ #20	კოლოფი	22	8.50	187.00
5	33690000	ოფთან-თიმოლოლი წვეთები თვალის 0.5% 5მლ ფლაკონი #1	კოლოფი	13	5.36	69.62
6	33690000	ბილობილი კაფსულა 40მგ #60	კოლოფი	25	29.16	729.00
7	33690000	ლოსარტანი+ჰიდროქლორთიაზიდი ნორმონი ტაბლეტი 50მგ+12.5მგ #28	კოლოფი	255	4.65	1185.24
8	33690000	ნეო-ენდუსიქსი ტაბლეტი 20მგ #30	კოლოფი	51	21.78	1110.78
სულ ჯამი:						**4458.18**

KA010116451419923

№01/144903 **27 / აპრილი / 2023 წ.**

სპეციალური პენიტენციური სამსახურის
გენერალურ დირექტორს
ბატონ ნიკა ცხვარაშვილს

სპეციალური პენიტენციური სამსახურის
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის
იულია ტყეშელაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ნიკა,

მოგახსენებთ, რომ პენიტენციური დაწესებულებების საექიმო სამედიცინო პუნქტებისა და სამკურნალო დაწესებულებების მოთხოვნების შესაბამისად დანართში მითითებული მედიკამენტების მარაგი ამოწურულია. აღნიშნული ჩამონათვალი არის ბაზისური მედიკამენტების ნუსხიდან, რომლებზეც გამოცხადებული იყო კონსოლიდირებული ტენდერები CON230000248, CON230000249, CON230000250, CON230000252, CON230000253, CON230000254, CON230000255, CON230000256, CON230000258, CON230000259, CON230000260, CON230000261, CON230000262, CON230000263, CON230000265, CON230000266 და CON230000267 რომლებიც არ შედგა, ასევე სამსახურის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი NAT230008445 რომელიც არ შედგა.
კონსოლიდირებული ტენდერები ნომრით CON220000526, CON230000217 და CON220000414 შემდგარია და გამარჯვებული გამოვლენილია. გამარჯვებულ კომპანიებთან დაზუსტდა ინფორმაცია რამდენად შეძლებდნენ გაეფორმებინათ ერთჯერადი ხელშეკრულებები ჩვენთვის საჭირო მედიკამენტის რაოდენობაზე. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღებულ ინფორმაციაში აღნიშნულია უარი ერთჯერადად ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე (იხ. დანართ).
ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს მიერ ფარმაცევტულ ბაზარზე დღეისათვის არსებული ფასების მოძიების მიზნით განხორციელდა ფასთა კვლევა, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილ იქნა შემოთავაზებები: შ.პ.ს. „ავერსი-ფარმა“-ს, ს.ს. „გეფა“-ს და შ.პ.ს. „პსპ ფარმა“-ს მიერ, რომლებშიც მითითებულია ჩვენს მიერ მოთხოვნილი მედიკამენტების ერთეულის ფასები.
გთხოვთ, დაგვრთოთ ნება დანართში მითითებული მედიკამენტების თვენახევრის მარაგის გადაუდებლად შესყიდვაზე.

დანართი: შ.პ.ს. „ავერსი-ფარმა“ს შემოთავაზება შ.პ.ს.
შ.პ.ს„პსპ ფარმა“ს შემოთავაზება
ს.ს “გეფა’’ს შემოთავაზება
შემოთავაზებების შედარებითი ცხრილი
შ.პ.ს. „ავერსი ფარმა“ს პასუხი - უარი
ს.ს. „გეფა“ს პასუხი - უარი

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად იულია ტყეშელაშვილი